პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 98 (5128)

1974 წ. 19 მაისი, კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

კომის ასსრ. წლეულს ინტა დაარსების 20 წლისთავს ზეიმობს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს წინა არჩევნების შემდეგ განვლილი ოთხ წელიწადში აქ გაჩნდა ახალი კვარტალები, [illegible] ლი სახლების საერთო ფართობი დაახლოებით 80000 კვადრატულ მეტრს უდრის. ამ ხნის მანძილზე ინტაში აიგო საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი, საშუალო სკოლა, 100-ადგილიანი პროფილაქტორიუმი, მაღაზიები, სპორტული დარბაზები, საცურაო აუზი.

• • •

სურათზე: ინტის შახტის „ვოსტოჩნაიას" ახალ სპორტის სახლში მეცადინეობენ მხატვრული ტანვარჯიშის სექციის წევრები.

ს. გუბსკის ფოტო (საკდესი).



WBP 27 COURSE DE LA PAIX 1974

# ისევ სტანისლავ შოზდა

კარლ-მარქს-შტადტი, 17 მაისი. მშვიდობის XXVIIველორბოლის X ეტაპი (ლაიპციგი — კარლ-მარქს-შტადტი, 141 კმ) მოიგო პოლონელმა სპორტსმენმა ს. შოზდამ — 3:24.36 (ბონიფიკაციის ჩათვლით).

ფინიშის ხაზი მეორემ გადაკვეთა გ. მილდემ (გდრ) — 3:24.46. III ადგილზეა იტალიელი ჯ. გუარნიერი — 3:24.56.

საბჭოთა ველოსიპედისტებმა ა. პიკუუსმა და ფ. ლიხაჩოვმა შესაბამისად IV და V ადგილები დაიკავეს. მათ ერთნაირი დრო აქვთ — 3:25.06.

ამ ეტაპზე გამარჯვებამ შოზდა პირად ჩათვლაში რბოლის ლიდერი გახადა. გაგახსენებთ, რომ შოზდამ IV ეტაპზე II ადგილი დაიკავა, VI და IX ეტაპებზე პირველი იყო, VII და VIII ეტაპებზე კი — მესამე.

გუნდურ ჩათვლაში კვლავინდებურად პოლონეთის ნაკრებია წინ.

## ახალი ამბები-74

● ვენა, 16 მაისი. აქ გაიმართა დევისის თასის გათამაშების ევროპის „ა" ზონის მეოთხედფინალური მატჩი — ერთმანეთს შეხვდნენ ავსტრიისა და საფრანგეთის ჩოგბურთელთა ნაკრები გუნდები. პირველ შეხვედრაში ავსტრიელმა კარიმ დამაჯერებლად სძლია ჟოფრეს და მრავალრიცხოვან მაყურებელს საკმაოდ დიდი იმედიც ჩაუსახა. მაგრამ შემდგომ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა: გოვენმა მოუგო პოკორნის (ავსტრია), ჟოფრესა და ბარტეს წყვილმა იოლად აჯობა კარისა და პოკორნის, ხოლო გადამწყვეტი ქულა სტუმართა გუნდს ჟოფრემ მოუტანა, როცა პოკორნის სძლია. ბოლო შეხვედრა: გოვენი — კარი ბინდის გამო არ დამთავრებულა. ამრიგად, ანგარიშით 3:1 გაიმარჯვეს ფრანგებმა, რომლებიც 19-21 ივლისს ნახევარფინალში რუმინელებს შეხვდებიან ბუქარესტში.

● ტრიესტი (იტალია), 17 მაისი. ესპადრონისტთა აქ გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში „გუსტავო მარცის თასზე" საბჭოთა გუნდმა (ვ. სიდიაკი, ვ. ნაზლიმოვი, ე. ვინოკუროვი, ვ. კროვოპუსკოვი) ყველას აჯობა. მან ერთნაირი ანგარიშით (10:6) დაამარცხა ოლიმპიური ჩემპიონი — იტალიის ეროვნული გუნდი, პოლონეთისა და უნგრეთის ნაკრები კოლექტივები. ვინაიდან ეს საბჭოთა გუნდის ზედიზედ მესამე გამარჯვებაა ტრიესტის ყოველწლიურ შეჯიბრებებში, „გუსტავო მარცის თასი" სამუდამო მფლობელობაში გადაეცათ სსრ კავშირის მოფარიკავეებს.

## ესეც ფეხბურთისთვის ზრუნვაა!

მოსკოვი, 17 მაისი. ამ თათბირზე საუბარი იყო არა ფეხბურთის ტაქტიკასა და ტექნიკაზე, ან, მაგალითად, ამა თუ იმ ფეხბურთელის ღირსებებზე, თუმცა აქ შეიკრიბნენ უმაღლესი და პირველი ლიგების ფეხბურთელთა გუნდების ხელმძღვანელები. საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს დღეს გამართულ თათბირზე ლაპარაკი იყო იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს სპორტსმენი მინდორზეც და ყოველდღიურ ცხოვრებაშიც, მის მოქცევაზე, მაყურებლებთან დამოკიდებულებაზე.

სულ ახლახან ფეხბურთის მოყვარულნი მოწმენი იყვნენ „სოლცარი" ფრეების, უხეშობისა. მსაჯებს უკვე სეზონის დასაწყისში მოუხდათ გაფრთხილებების მიცემა ბევრი მოთამაშისთვის, ზოგიერთი კი გააძევეს კიდეც. ამას გარდა, ვინ მოთვლის, რამდენი საყვედური გამოითქვა პრესაში ცნობილ ოსტატთა მიმართ საფეხბურთო ფორმის უწესივრობისა და აჩეჩილი „ფაფრების" გამო.

ფეხბურთელთა ხელმძღვანელები სრული სერიოზულობითა და შეშფოთებით ლაპარაკობდნენ ამის შესახებ. გამოითქვა სავსებით სწორი აზრი, რომ საჭიროა გამოვიყენოთ ყველა აღმზრდელობითი საშუალება, კოლექტივის ზემოქმედების მთელი ძალა, რათა ჩვენი ფეხბურთელები სამაგალითონი იყვნენ საერთოდ და განსაკუთრებით ახალგაზრდებისთვის.

დისკუსია იყო პრინციპული და მწვავე. იმედი უნდა გამოვთქვათ, რომ თათბირის დასკვნები განხორციელდება ცხოვრებაში.

(საკდესი).

## ფავორიტებმა ადგილები გაცვალეს

ზაპოროჟიეში „დინამოს" ახალგაზრდულმა საკავშირო პირველობამ კლასიკურ ჭიდაობაში ადგილობრივ სპორტის მოყვარულთა დიდი ინტერესი გამოიწვია, ვინაიდან „დინამოში" თავმოყრილია საბჭოთა ქვეყნის თითქმის ყველა უძლიერესი ახალგაზრდა „კლასიკოსი". ჩემპიონის საპატიო წოდებისთვის იბრძოდა 14 გუნდის 160 ათლეტი.

შარშან ეს ასპარეზობა უკრაინის მოჭიდავეებმა მოიგეს. საქართველოს კოლექტივი მაშინ II ადგილზე გავიდა. წლეულს ლიდერებმა როლები შეცვალეს: გუნდური პირველობა ჩვენი რესპუბლიკის „კლასიკოსებმა" დაისაკუთრეს და შარშანდელი ჩემპიონი მთელი 30 ქულით ჩამოიტოვეს.

III საპრიზო ადგილი ყაზახეთის ათლეტებს ხვდათ.

ისეთი ძლიერი კოლექტივები, როგორიც რუსეთის ფედერაციისა და მოსკოვის გუნდები არიან, სამეულში ვერ მოხვდნენ. რუსეთის მოჭიდავეები მხოლოდ IV ადგილს დასჯერდნენ, მოსკოვის ნაკრები კი VI ადგილზე აღმოჩნდა.

პირად ჩათვლაში წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: გ. სტროგანოვი (მოსკოვი), მ. გალსტიანი (სომხეთი), რ. აბრამიშვილი, თ. წინწალაშვილი (ორივე — საქართველო), გ. ფორინი (ყაზახეთი), ნ. ფაშაევი (აზერბაიჯანი), ს. პავლოვი (ყაზახეთი), ა. მინასიანი (საქართველო), ვ. მისჟაიტისი (ლიტვა), გ. ხადკო (უკრაინა).

როგორც ხედავთ, საქართველოს მოჭიდავეებმა განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სამ წონით კატეგორიაში, მაგრამ მათი წარმატება ამით არ ამოწურულა: მ. ხუხუამ (48 კგ), ი. ჯუღელმა (62 კგ), თ. აფხაზავამ (74 კგ), თ. ასათიანმა (82 კგ) და ა. გოგონაძემ (100 კგ) II საპრიზო ადგილები დაისაკუთრეს.

რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ გამარჯვებულებზე. აბრამიშვილმა და წინწალაშვილმა დამაჯერებლად ჩაატარეს მთელი ტურნირი — უჯარიმოდ გავიდნენ I ადგილებზე. წინწალაშვილი ფინალში შეხვდა ჯუღელს, რომელსაც მანამდე მხოლოდ 0,5 საჯარიმო ქულა ჰქონდა. წაგების მიუხედავად, ამ უკანასკნელს II საპრიზო ადგილი ხვდა.

კარგად იჭიდავა სოხუმელმა მინასიანმაც, რომელსაც წვრთნის სპორტის დამსახურებული ოსტატი, წარსულში ცნობილი ათლეტი ვ. მაჩკალიანი. მინასიანმა მხოლოდ 1 საჯარიმო ქულა მიიღო, ისიც ფინალში, როცა უკრაინელ ე. ბურდენკოს სძლია ქულებით.

ქებას იმსახურებენ ქუთაისელი ათლეტები აფხაზავა, ასათიანი და გოგონაძე, მაგრამ განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ცხაკაიელი ხუხუა (მწვრთნელი კ. ჯოჯუა). მისი წარმატება მოწმობს, რომ ცხაკაიაში სერიოზულად მოჰკიდეს ხელი კლასიკურ ჭიდაობას.

საერთოდ კი, უნდა ითქვას, რომ საქართველოს ახალგაზრდა მოჭიდავეებს კარგი პერსპექტივა აქვთ. მათ მხოლოდ გამოცდილება აკლიათ, მაგრამ ეს უკვე დროისა და პრაქტიკის საქმეა. ამიტომ ისინი ხშირად უნდა მონაწილეობდნენ სხვადასხვა შეჯიბრებაში.

ი. ფცქიალაძე.

ჭადრაკი

## წარუმატებელი სტარტის შემდეგ ზედიზედ სამი წაგების მერე

საქართველოს ვაჟთა XXXV პირველობა. XVI ტური. ე. მიქაელიანი — გ. ზაიჩიკი 0,5:0,5, გ. კალატოზიშვილი — ზ. აზმაიფარაშვილი 1:0, ე. გუფელდი — ზ. მიქაძე 1:0, ა. ბუსლაევი (ყველა — თბილისი) — გ. ბიბილაშვილი (რუსთავი) 1:0, ა. ტუზოვსკი (სოხუმი) — ა. ბოკუჩავა (თბილისი) 0,5:0,5. ოთხი პარტია გადაიდო.

მიქაელიანი დანებდა ბუსლაევს XV ტურიდან გადადებულ პარტიაში.

16 ტურის შემდეგ ე. უბილავას (თბილისი) 12,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, გუფელდს — 12,5, ბუსლაევს — 10, რ. ჯინჯიხაშვილს (თბილისი) — 9,5 (1), ზაიჩიკს — 9.

ბრძოლა ბოლოსწინა, XVI ტურშიც, ისევე როგორც ყველა დანარჩენში, მძაფრი და დაძაბული იყო. ლიდერებიდან მხოლოდ გუფელდმა შეძლო პარტიის დამთავრება. მიქაძე უზუსტოდ თამაშობდა და დამარცხდა.

ახალგაზრდა ბურჭულაძემ შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწია უბილავას და მერე ინიციატივასაც დაეპატრონა. პარტია გადაიდო რთულ მდგომარეობაში. ბურჭულაძეს უკეთესი პერსპექტივები აქვს.

კიდევ უფრო დაძაბულ სიტუაციაში შეწყდა ჯინჯიხაშვილ — ჯ. ბერაძის (წყალტუბო) შეხვედრა. მათი პოზიცია სწორად მხოლოდ გულდასმითი ანალიზის შემდეგ შეიძლება შეფასდეს.

აღმავლობით იბრძოდა ბუსლაევი, რომელიც წარუმატებელი სტარტის შემდეგ III ადგილის პრეტენდენტია.

• • •

საქართველოს ქალთა XXXI პირველობა. XVI ტური. ნ. გურიელი — ე. ბაშინჯაღიძე 1:0, ლ. ბელოზიოროვა — ა. ჩაიკოვსკაია 0:1, ქ. გაჩეჩილაძე — ვ. კუპრაშვილი 1:0, მ. წერეთელი — მ. მამისთვალოვა 1:0, ლ. თანდაშვილი (ყველა — თბილისი) — ე. აპრესოვა (გორი) 1:0, ც. კახაბრიშვილი (თბილისი) — ნ. ჯანჯღავა (ცხაკაია) 1:0. სამი პარტია გადაიდო.

16 ტურის შემდეგ ლიდერობენ: ც. კობაიძე (თბილისი) — 12 ქულა და 1 გადადებული პარტია, ჩაიკოვსკაია — 12, კახაბრიშვილი — 11,5, თ. ხუგაშვილი (თბილისი) — 11 (1), წერეთელი — 11, გაჩეჩილაძე, ბაშინჯაღიძე — 10-10.

ფინიშზე ლიდერები სულ უფრო მეტ წინააღმდეგობას აწყდებიან. ნ. ხუბულური (ონი) შეუპოვრად ებრძოდა კობაიძეს. პარტია გადაიდო ამ უკანასკნელის უპირატესობით. გადაიდო, აგრეთვე, ნ. იოსელიან — თ. ხუგაშვილის (ორივე — თბილისი) პარტია.

კახაბრიშვილმა რთული თამაში შესთავაზა ჯანჯღავას. პოზიციური მანევრების შემდეგ მან გამსვლელი პაიკი მიიღო ლაზიერის ფრთაზე. ცხაკაიელი მოჭადრაკე იძულებული შეიქნა კუ დაეთმო ამ პაიკში, 43-ე სვლაზე კი დანებდა.

შამათით დამთავრდა წერეთელ — მამისთვალოვას პარტია. ინგლისურ დაწყებაში მამისთვალოვამ კარგი პოზიცია ააგო, მაგრამ შემდგომ უსწოროდ ითამაშა. მისი ლაზიერი „დაბმული" აღმოჩნდა. ეს გარემოება წერეთელმა საუცხოოდ გამოიყენა. იგი ეტლით და ორი კუთი თავს დაესხა მეტოქის მეფეს და 29-ე სვლაზე დაატყვევა.

ზედიზედ სამი წაგების შემდეგ გაჩეჩილაძე ძლიერად ეთამაშა კუპრაშვილს.

თ. ნინოშვილი.



• • •

სურათზე: ქალთა პირველობის მორიგი ტური.

მ. ზარგარიანის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გავიდეთ ბუნების წიაღში!

## მღეროდა 3 ათასი ტურისტი

როდესაც მსაჯმა-ინფორმატორმა გამოაცხადა, სტარტზეა თბილისის ნორჩ ტურისტთა ნაკრები გუნდიო, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ორკესტრმა „დაე მუდამ იყოს მზე" დაუკრა. მას „კარვების ქალაქში" შეკრებილი სამი ათასამდე ტურისტი აჰყვა. ამ პოპულარულ სიმღერას თითქოს ბანს აძლევდა იალნოს მთის ფერდობებიდან ასხლეტილი ექო და ივრის ტალღების ბუბუნი.

ეს იყო გასულ შაბათ-კვირას თბილისელ ტურისტთა ტრადიციულ შეკრება-შეჯიბრებაზე. ღონისძიება გამარჯვების დღესასწაულს და საზაფხულო ტურისტული სეზონის გახსნას მიეძღვნა. შეკრება-შეჯიბრება თბილისის ტურისტული კლუბისა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ტურიზმის განყოფილების თაოსნობით მოეწყო.

ტურისტულ ესტაფეტაში, რომლის პროგრამაშიც შედიოდა მდინარის თოკით გადალახვა, ტურისტული ბაიდარებით იორზე დაშვება, კარვის გაშლა, ცეცხლის დანთება და წყლის ადუღება, ნორჩებმა 26 კოლექტივს შორის X ადგილი დაიკავეს. საუკეთესო შედეგი კი მოიპოვეს ქუთაისის № 1 სამკერვალო გაერთიანების ტურისტებმა სპორტის ოსტატ გ. ყალაბეგიშვილის მეთაურობით.

როგორც ნორჩები, ისე ქუთაისის № 1 სამკერვალო გაერთიანების კოლექტივები შეჯიბრებაში უკონკურსოდ მონაწილეობდნენ.

საფინანსო-ეკონომიური ტექნიკუმის ფიზკულტურის კოლექტივი სულ 500 კაცს ითვლის. მიუხედავად ამისა, ტურისტთა შეკრება-შეჯიბრებაში ტექნიკუმის 290 მოსწავლე ჩაება. საერთო გუნდურ ჩათვლაში, რომელშიც, ესტაფეტის გარდა, მასობრივ ქვეით ლაშქრობაში მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებაც შედიოდა, ყველას სწორედ მომავალმა ფინანსისტებმა (ფიზაღზრდის უფროსი მასწავლებელი რ. გურგენიძე) აჯობეს.

ისევე როგორც შარშან, წლეულსაც მეორე იყო საავეჯო კომბინატ „განთიადის" კოლექტივი. III ადგილი დაიკავა იმ სამხედრო ნაწილის კოლექტივმა, რომელსაც ნ. ვანიანი მეთაურობს.

კარგად მომზადებული გუნდები გამოიყვანეს წითელდროშოვანი უმაღლესი საარტილერიო სასწავლებლის, დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის, სავაჭრო-კულინარიული სასწავლებლის, კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის, ქარხანა „მაგნიტოფონისა" და სხვა ფიზკულტურულმა კოლექტივებმა.

შეკრება-შეჯიბრებაში თბილისის ყველა რაიონიდან ოთხ-ოთხი კოლექტივი უნდა გამოსულიყო, მაგრამ კალინინისა და 26 კომისრის რაიონებიდან სარბიელზე ვერავინ ვიხილეთ. ეს მით უფრო დასანანია, რომ 26 კომისრის სახელობის რაიონი ქალაქის ერთ-ერთი მსხვილი სამრეწველო ცენტრია, კალინინის რაიონს კი ჰყავს ისეთი ძლიერი კოლექტივები, როგორიც აბრეშუმის საქსოვი გაერთიანების, თეატრალური ინსტიტუტის, კონსერვატორიის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და შარშანდელ შეკრება-შეჯიბრებაში გამარჯვებული თბილისის სამხატვრო აკადემიის ორგანიზაციები არიან.

დასასრულს, ქებით უნდა მოვიხსენიოთ თბილისის საავტობუსო ტრანსპორტის საწარმოო გაერთიანება, რომელმაც შეუფერხებლად გადაიყვანა შეკრება-შეჯიბრების მონაწილენი ასპარეზობის ადგილამდე.

ო. ბოგოხიძე,
თბილისის ტურისტული კლუბის დირექტორი.



სურათზე: წყლის ადუღება არც ისე ადვილია. ა. აბრამიშვილის ფოტო.

## უკეთ მომსახურებისთვის

გაიმართა აჭარის კურორტებისა და ტურიზმის მუშაკთა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, ადმინისტრაციული და სამეურნეო ორგანოების ხელმძღვანელები.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. თხილაიშვილმა.

მოხსენება — „კურორტებისა და ტურისტული ბაზების შარშანდელი მუშაობის შედეგები და 1974 წლის სეზონის ამოცანები" — გააკეთა აჭარის პროფსაბჭოს თავმჯდომარემ მ. ეკიზაშვილმა.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევენ მშრომელთა სანატორიულ-საკურორტო მკურნალობასა და ტურიზმის განვითარებას. როგორც თათბირზე ითქვა, ამ მხრივ აჭარაში შარშან ცოტა როდი გაკეთდა: განმტკიცდა ჯანმრთელობის კერების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა; გაუმჯობესდა დამსვენებელთა და ტურისტთა მომსახურება; შარშან აჭარაში დაისვენა და იმკურნალა 47745 კაცმა.

გასული საკურორტო სეზონი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს და სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს სანატორიუმმა „აჭარამ", პანსიონატებმა „მწვანე კონცხმა", „მზიურმა" და დასასვენებელმა სახლმა „ნაუკამ". სანატორიუმი „აჭარა" პროფკავშირთა კურორტების მართვის ცენტრალური საბჭოს და მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოვდა. ტურიზმისა და ექსკურსიების აჭარის საოლქო საბჭომ 108 პროცენტით შეასრულა გეგმა. ამის მიუხედავად, აჭარის კურორტებისა და ტურისტული ბაზების მუშაობაში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებები. თათბირმა იმსჯელა ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზებზე.

ითქვა, რომ სერიოზული ხარვეზებია საკურორტო მშენებლობაში: მაგალითად, მე-5 სამშენებლო ტრესტი აჭიანურებს ქობულეთში 928-ადგილიანი დასასვენებელი კომპლექსის აგებას. ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს ტურისტული ობიექტების მშენებლობა და რეკონსტრუქცია. შესანიშნავი ბუნებრივი პირობები აქვს ჩაქვის ტურბაზას. იგი მეექვსე ტურისტულ სეზონს იწყებს, მაგრამ ჯერაც არ დამთავრებულა 300-ადგილიანი კლუბ-სასადილოს მშენებლობა. ამიტომ ღონისძიებები ღია ცის ქვეშ მხოლოდ კარგ ამინდში ტარდება.

უკეთესი მდგომარეობა არც მწვანე კონცხის ტურბაზაშია. „საქკურორტრემმშენის" აჭარის სამშენებლო-სარემონტო სამმართველო იქ ხარისხიანად ვერ აკეთებს საქმეს.

კამათში მონაწილეობდნენ პროფკავშირთა კურორტების მართვის აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე ვ. ახვლედიანი, ტურიზმისა და ექსკურსიების აჭარის საოლქო საბჭოს თავმჯდომარე გ. დავითაძე, საქართველოს კომპარტიის ხელვაჩაურის რაიკომის მდივანი ი. შერვაშიძე, დასასვენებელი სახლის „ნარინჯის" დირექტორი ა. დავითაძე, აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს ვაჭრობისა და ორგანიზაციის და ახალი ტექნიკის დანერგვის განყოფილების უფროსი გ. ხოშტარია, საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომის პირველი მდივანი ი. უნგიაძე, აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა მინისტრი ა. გობრონიძე, აჭარის საექსკურსიო და სამოგზაურო ბიუროს დირექტორი ქ. მალაზონია და სხვ.

ო. მურვანიძე,
(ჩვენი კორ.),
ბათუმი.

### გადარბენა დამთავრდა

თბილისის „სპარტაკის", აგრეთვე, ტურიზმისა და მოგზაურობის რესპუბლიკური საბჭოს ავტო-მოტოსექციის წევრთა ტურისტული ავტოგადარბენა მარშრუტით: თბილისი — ბაქო — კრასნოვოდსკი — აშხაბადი — მარი — ბაირამალი — ბუხარა — სამარყანდი — ხივა და უკან წარმატებით დამთავრდა წინასწარ განსაზღვრულ ვადებში. მანქანებმა კარგად გაუძლეს გამოცდას.

უკან დარჩა ამიერკავკასიისა და შუა აზიის რესპუბლიკების გზებზე გავლილი 6000 კილომეტრი. ახლა დაწვრილებით ვაჯამებთ ჩატარებული გადარბენის შედეგებს, ვიგონებთ საინტერესო ეპიზოდებს.

ვიწყებთ მზადებას ახალი, საზაფხულო ავტოლაშქრობებისთვის.

რ. სარიჩევი,
ავტოგადარბენის ხელმძღვანელი.

უკანასკნელი ფოსტიდან

## ტურიზმი დიდებული რამაა

საქართველოს მიწა-წყალი ტურიზმის მასობრივად განვითარების დაუშრეტელი წყაროა. რესპუბლიკის გზებსა თუ გზაჯვარედინებზე, მთებში თუ წყალსაცავებზე ხშირად შეხვდებით სხვა მხარეებიდან ჩამოსულ უამრავ ტურისტს, რომლებიც წარუშლელი შთაბეჭდილებებით ალსავსენი ბრუნდებიან შინ.

მაგრამ თვით რესპუბლიკის მოსახლეობა ამ სახარგებლო საქმიანობას ნაკლებად ეტანება. საქართველოში ჯერ კიდევ მეტად დაბალ დონეზე დგას ტურიზმის პროპაგანდა, ადგილობრივი მოსახლეობა ნაკლებად იცნობს რესპუბლიკის მდიდარ ბუნებას — მთებს, მდინარეებს, პლატოებს, მით უმეტეს — ძნელად მისასვლელ ადგილებს. სწორედ ამიტომ მივვაჩნია კარგ საქმედ ის, რომ გაზეთმა „თბილისმა" 17 მაისის ნომრის მე-8 გვერდი მთლიანად დაუთმო მშრომელი მოსახლეობის, ახალგაზრდობის ფიზიკურად გაკაჟების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებას — ტურიზმს.

გაზეთის მრავალრიცხოვან მკითხველებს საინტერესოდ ესაუბრებიან საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე გ. ჯოხთაბერიძე, თბილისის საექსკურსიო-სამოგზაურო ბიუროს დირექტორი გ. მღებრიშვილი, საქართველოს ალკკ თბილისის კომიტეტის სპორტული და თავდაცვით-მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე ო. ბარათაშვილი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა რედაქციის გამგე, თბილისის ტურისტული კლუბის გამგეობის თავმჯდომარე ქ. ჯავრიშვილი, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დოცენტი ა. ციბაძე, საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე საზოგადოებრივ საწყისებზე მ. უთმელიძე, თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის ტყეების სამმართველოს უფროსი გ. გიორგაძე, საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს პროპაგანდისა და გამომცემლობის სექციის თავმჯდომარე ვ. ხიხარულიძე, თბილისის ტურისტული კლუბის დირექტორი ო. ბობოხიძე.

## სესიამ იმსჯელა

ამას წინათ თბილისის კალინინის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს მე-6 (XIV მოწვევის) სესიამ მოისმინა რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მიერ შარშან ჩატარებული მუშაობის ანგარიში. მოხსენებით გამოვიდა კომიტეტის თავმჯდომარე ე. გაჩეჩილაძე.

მომხსენებელმა თქვა, რომ რაიონის საწარმო-დაწესებულებებში შარშან მომზადდა 3111 თანრიგოსანი სპორტსმენი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3000-სა, და მშდ კომპლექსის 4182 ნიშნოსანი ნაცვლად 4000-სა.

კარგი მუშაობით ისახელეს თავი მთავართბილმშენის № 14 ტრესტის, თბილისის საქალაქო საბჭოს, „თბილწყალკანალის" სამმართველოს, საქალაქო სატელეფონო ქსელის სამმართველოს, ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებლის, საბიბლიოთეკო სასწავლებლის, მ. თოიძის სახელობის № 11 პროფტექნიკური სამხატვრო სასწავლებლის, სამხატვრო აკადემიის, 1-ლი, 41-ე და 43-ე საშუალო სკოლებისა და სხვა ფიზკულტურულმა კოლექტივებმა.

აღნიშნულ ორგანიზაციებში ბევრი საინტერესო ღონისძიებაა ჩატარებული ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის დონის ამაღლებისთვის.

სესიამ განსაკუთრებით გაამახვილა ყურადღება ნაკლოვანებებზე. აღინიშნა, რომ რაიონის მთელ რიგ საწარმოებსა და დაწესებულებებში ფიზკულტურა და სპორტი არ დგას სათანადო სიმაღლეზე.

შარშან მშდ კომპლექსის ნიშნოსანთა და თანრიგოსან სპორტსმენთა მომზადების გეგმები ვერ შეასრულეს ლითოოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკამ, კავების მრეწველობის სამინისტრომ, კულტურის სამინისტროს სარეკლამო ბიურომ, საწარმოო კომბინატმა და პურის № 3 ქარხნის კოლექტივმა.

საწარმოო ტანვარჯიშს უგულებელყოფენ ღვინის № 1 ქარხანაში, პურის № 3 ქარხანაში, „ნაკადულის" № 2 სტამბაში, საქართველოს თეატრალური საზოგადოების საწარმოო კომბინატში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობაში.

დაბალ დონეზე ტარდება ფიზაღზრდის გაკვეთილები მე-40, 49-ე, 50-ე, 53-ე და 58-ე საშუალო სკოლებში.

სესიაზე აღნიშნეს ამ ნაკლოვანებათა მიზეზები და დასახეს კონკრეტული ამოცანები მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ა. მუშიშვილი.



# ცენტრალური წრე

ვ. ივანოვი

## თავი VIII

### იმაზე, თუ როგორ აღმოვაჩენდით ხოლმე სხვების მიერ დიდი ხნის წინათ აღმოჩენილ ამერიკებს

ახლა კი უშუალოდ ფეხბურთს დავუბრუნდეთ.

მელბურნის ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვების შემდეგ ჩვენ იმის დრო არ გვქონდა, რომ მოხვეჭილი დიდებით დავმტკბარიყავით. გველოდა მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში — პირველი ჩვენს ცხოვრებაში. ჩვენ კოლუმბების როლის შესრულება უნდა გვედო თავს. არა საერთოდ კოლუმბებისა, არამედ ჩვენი ფეხბურთის კოლუმბებისა. დანარჩენი ქვეყნების მოთამაშეებსა და მწვრთნელებს უკვე ჰქონდათ წარმოდგენა, რა შეჯიბრება იყო ოლიმპიადა, როგორი იყო მისი მონაწილეების კლასი, რამდენად დიდი იყო ბრძოლის დაძაბულობა. ჩვენთვის კი მსოფლიო ჩემპიონატი გამოუცნობი საიდუმლო გახლდათ.

თუმცა, შვეციაში ჩასვლამდე მაინცდამაინც ნათლად არ გვქონდა წარმოდგენილი ამ მოვლენის მასშტაბები. ჩვენ დღესაც ვერ დავიკვეხნით კარგად დაყენებული სპორტული დაზვერვით, მაშინ კი იგი საერთოდ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებდა. ჯგუფურ ტურნირში ჩვენს მომავალ მეტოქეებზე ბუნდოვანზე ბუნდოვანი წარმოდგენა გვქონდა. ჩვენ, მართალია, მსოფლიო პირველობის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე შევხვდით ინგლისელებს, მაგრამ ეს ნაკრები ექსტრა-კლასის გუნდად არ მიგვაჩნდა, მიუხედავად მისი დიდი სახელისა. ამ გუნდის ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეთა უმეტესობა ზაფხულში საავიაციო კატასტროფაში დაიღუპა. ამიტომ მოსკოვში ინგლისელებს ზებუნებრივი არაფერი გაუკეთებიათ.

ბრაზილიელებს ვიცნობდით როგორც ვირტუოზებს, ჟონგლიორებს, რომელთათვისაც თამაშში მთავარია არა სხვის კარში ბურთების გატანა, არამედ ინდივიდუალური ტექნიკის სასწაულები და ღვლარჭნილი თავსატეხი ტრიუკები, რომლებიც სავსებით კმაყოფილი რჩებიან მარტო იმ ტაშითაც, რომლითაც მათ ამ ოსტატობისთვის სტადიონი აჯილდოებს.

— სამაგიეროდ, ავსტრიელები, — აგვიხსნეს ჩვენ, — ჯგუფში ყველაზე მრისხანე მეტოქეები არიან. ისინი შესანიშნავად არიან მომზადებული ფიზიკურად, ყველა, როგორც ერთი, მხარბეჭიანია, გრენადერული სიმაღლისა. მათი ტაქტიკა თანამედროვე და რაციონალურია, რადგან თავიანთს ტრადიციულ „ვენურ მაქმანებზე“ უარი თქვეს.

გასაგებია, ჩვენ მტკივნეულად გადავიტანეთ დანაკლისი, რომელიც საბჭოთა გუნდმა განიცადა შვეციაში გამგზავრების წინ. „კომსომოლსკაია პრავდაში“ დაიბეჭდა ფელეტონი — „ვარსკვლავური სენი“, რომელშიც ნაამბობი იყო ედუარდ სტრელცოვის, ბორის ტატუშინისა და მიხეილ ოგონკოვის მძიმე დანაშაულზე. სამივე გუნდიდან გარიცხა, სამივეს დისკვალიფიკაცია მისცეს. მოთამაშეთა უმეტესობა გულდამძიმებული და დადარდიანებული იყო. ეს აიხსნებოდა არა მარტო და არა იმდენად იმით, რომ ნაკრებმა დაკარგა საუკეთესო ცენტრალური თავდამსხმელი, საუკეთესო მარჯვენა გარემარბი და საუკეთესო მარცხენა მცველი. მთავარი ის იყო, რომ უბედურება დაატეხეს თავს ჩვენმა მეგობრებმა, ჩვენთვის ახლობელმა ადამიანებმა, იმათ, ვისთანაც სულ ახლახან ოლიმპიური გამარჯვების სიძნელეებსა და სიხარულს ვიყოფდით.

ხოლო რაც შეეხება ახლო მომავალს, მას ჩვენ ოპტიმისტურად ვუყურებდით.

თხრობას წინ თუ გავუსწრებ, შემიძლია ვთქვა, რომ, თუმცა ჩვენი იმედები მსოფლიო ჩემპიონატის პრიზების მოპოვებისა არ გამართლდა, იმ მატჩების მონაწილეებს შეუძლიათ დღესაც ამაყად გაიხსენონ თავიანთი მაშინდელი თამაში და შედეგები. და მე თამამად შემიძლია ვთქვა, რომ არც ერთ საბჭოთა გუნდს მომდევნო ჩემპიონატებში ასეთი გასაჭირი არ დასდგომია. ჩვენ ხომ პირველნი ვიყავით.

იმას, რომ მსოფლიო ჩემპიონატი რაღაც განსაკუთრებული შეჯიბრებაა, ჩვენს მიერ ჯერაც უნახავი, შეუდარებელი, მივხვდით მხოლოდ გეტებორგში, სადაც ჩვენი ჯგუფური ტურნირი იყო დანიშნული. მთელმა მსოფლიომ თითქოს სუნთქვა შეიკრა ამ დიდი მოვლენის წინაშე. მსოფლიოს თითქმის ყველა სახელმწიფოს გაზეთები იმდენ ადგილს უთმობდნენ ჩემპიონატს, თითქოს ფეხბურთის გარდა ქვეყანაზე საინტერესო აღარაფერი ხდებოდა. ნიაღვარივით დაგვატყდა თავს შვეციაში ჩამოსული ტურისტების, რეპორტიორების, რადიოკომენტატორების ასტრონომიული რიცხვი. გავიგეთ, რომ ბილეთების ფასები ზღაპრულ თანხებამდე იზრდებოდა. გაკვირვებული ვკითხულობდით ცნობებს, რომ გუნდებს თან ჩამოჰყავდათ საკუთარი მზარეულები, ჩამოჰქონდათ თავიანთი წყალი, თავიანთი საკმაზები. ერთი სიტყვით, ყველაფერი ეს ღაღადებდა, რომ ამ უზარმაზარ საფეხბურთო ბირჟაზე შეკრებილი მოთამაშეებისთვის, მწვრთნელებისთვის, მენეჯერებისთვის, მეცენატებისთვის, გულშემატკივრებისთვის დაწყებული თამაში, როგორც იტყვიან ხოლმე, სიცოცხლეზე მეტად ფასობდა.

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ როგორ ვღელავდით ინგლისელებთან პირველი მატჩის დაწყებამდე. ჩვენ ხომ უკვე თვითონაც მღელვარების, აჟიოტაჟის, პროგნოზების მორევში ვტრიალებდით. და მაინც, გვახსოვდა მოსკოვში გამართული ამასწინანდელი შეხვედრა და საკუთარი ძალისა გვჯეროდა. ჩვენ დაცვაში არ „გავმაგრდით“, შევეცადეთ ინიციატივა თავიდანვე ხელში ჩაგვეგდო.

და თამაში აეწყო. ჩვენ ბევრს და ნაყოფიერად ვმოძრაობდით შეტევის საუკეთესო გაგრძელებათა ძებნაში. ნახევარმცველები თავდამსხმელებს კარგ გადაცემებს არ აკლებდნენ. ინგლისელთა კართან ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები, რომელთაგანაც ბევრი შეიძლებოდა გოლით დამთავრებულიყო.

ინგლისელებიც ემუქრებოდნენ ჩვენს კარს. ისინი თავდასხმაში თამაშს წმინდად ბრიტანულად აგებდნენ, ინგლისური ფეხბურთის ტრადიციების სრული დაცვით, აგებდნენ ძირითადად ისევე, როგორც დღეს. მათი მძლავრი, მაღალი ცენტრალური თავდამსხმელი კევანი, ნამდვილი ტარანის ტიპის ცენტრფორვარდი, წინ და შორს იყო წაწეული, მას უგზავნიდნენ ფლანგებიდან კიდული გადაცემების უმეტესობას, რადგან იგი შესანიშნავად თამაშობდა თავით და ნახტომიც მაღალი ჰქონდა. ყველაზე უკეთესი ბრწყინვალე გარემარბის, მეტიუზის ღირსეული მემკვიდრისა და ბოლის წინამორბედის ფინეის გადაცემები იყო.

შესაძლოა ვინმეს გაუკვირდეს, რომ ინგლისის სხვადასხვა საფეხბურთო ფორმაციის ნაკრებ გუნდებს ერთმანეთს ვადარებ. მართალია, სხვაობა არის. ცხოვრება წინ მიიწევს და ინგლისურ ფეხბურთსაც კი აიძულებს შეიცვალოს. ინგლისელთა თამაშში გაჩნდა ახალი ტაქტიკური წყობები, იგი უფრო მოქნილი გახდა, ამ ქვეყნის ნაკრებში ტონს იძლევა ისეთი ულტრათანამედროვე ფეხბურთელი, როგორიცაა ბობი ჩარლტონი. მაგრამ ფესვები მაინც არ შეცვლილა. კევანი ნამდვილი მემკვიდრეა ლაუტონისა, რომელიც 1945 წელს მოსკოვის „დინამოს“ წინააღმდეგ თამაშობდა, და „სულიერი მამა“ ჰერსტისა, ინგლისის ნაკრების ცენტრფორვარდისა 1966 და 1970 წლების მსოფლიო ჩემპიონატებში. განა ძნელია პარალელის გავლება ბილ რაიტსა და მურს — ინგლისური ფეხბურთის ორი სხვადასხვა ეპოქის სახელოვან სტოპერებს შორის? მეტიუზს, ფინეისა და ბოლს შორის არსებულ მემკვიდრეობითობაზე უკვე ვთქვი.

დიახ, ფეხბურთში „დროთა კავშირი“ ბრიტანეთში უფრო საგრძნობია, ვიდრე ნებისმიერ სხვა ქვეყანაში. ეტყობა, ტრადიციულმა ბრიტანულმა კონსერვატულობამ „ნისლიანი ალბიონის“ ამ უსაყვარლეს პირმშოშიც იჩინა თავი. მე გავბედავ ვთქვა, რომ ის, 1958 წლის ნაკრები, თავისთავად არ იყო მემკვიდრეებზე სუსტი. ყოველ შემთხვევაში, კევანს ჰერსტს ვერ დავუყენებ გვერდზე — კევანი ბევრად უფრო ძლიერი იყო. და თუ მან, ინგლისის ნაკრებმა, შვეციაში წარმატებას ვერ მიაღწია, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ბედმა უმტყუნა.

როცა ინგლისელებთან ჩვენს მატჩს ვიხსენებ, თვალწინ სხვებზე ხშირად კონსტანტინე კრიჟევსკის, ჩვენი ცენტრალური მცველის ფიგურა დამიდგება ხოლმე. მე მას ვხედავ არა მარტო მინდორზე, არამედ გასახდელშიც. ტაიმებს შორის შესვენების დროს იგი იჯდა გაფითრებული, დაღლილ-დაქანცული, დასისხლიანებული და სულს ძლივს ითქვამდა. მას კევანის წინააღმდეგ მოუხდა თამაში. კევანი ჩვენი კარისკენ მოიწევდა, ზედიზედ არღვევდა დაცვას, ყოველი ბურთისთვის ხტებოდა, სულაც არ დაგიდევდათ სუფთად თამაშს და თავის გარშემო მყოფთ თითქოს ვერც ამჩნევდა. გეგონებოდათ ბურთი მას საშინელი ძალის მაგნიტივით იზიდავს თავისკენო და მას მუდამ მკერდით უხვდებოდა კოსტია კრიჟევსკი. უხვდებოდა, ეცემოდა, დგებოდა და კვლავ უხვდებოდა. ყოველი მორიგი შეტაკების შემდეგ — ასეთი შეტაკება კი უამრავი იყო — ვფიქრობდი, გათავდა, ვეღარ ადგება-მეთქი. ის კი თამაშობდა და მერე როგორ!

საერთოდ, შვეციაში კრიჟევსკი ყველაზე მძიმე მდგომარეობაში იყო. კევანის შემდეგ — ავსტრიელი ბუცეკი, კიდევ ერთი დღის შემდეგ — ვავას და პელეს წყვილი, მერე — ისევ ის „შავი კამეჩი“ კევანი. ინგლისელებთან განმეორებითი მატჩის წინ ყველაზე გულმოდგინე, ყველაზე აკურატული ფეხბურთელი კრიჟევსკი მოთელვაზე არ გამოვიდა. ორთქლის აბანოში ინებივრა, თავის ნომერში იწვა, ხვალინდელი დღისთვის ძალას იკრებდა და ჭრილობებით დასერილი სხეულის განძრევისა ეშინოდა.

მანამდე მე კრიჟევსკისთან ახლოს არ ვყოფილვარ. მხოლოდ იქ, გეტებორგში გავიგე, როგორი სპორტსმენი იყო, როცა ერთ გუნდში მოვხვდით. სხვათა შორის, მრავალი წლის შემდეგ ისევ მოგვიხდა ერთ გუნდში თამაში. დინამოელმა ვეტერანებმა მიმიწვიეს მათთან ერთად რომელიღაც ამხანაგურ მატჩში მონაწილეობის მისაღებად. კრიჟევსკი მოსკოვის „დინამოს“ ვეტერანთა თამაშების ორგანიზატორთა რიცხვში იყო და ამ გუნდის ერთ-ერთ მწვრთნელად ითვლებოდა. თუ თამაშის მსვლელობისას აღმოჩნდებოდა, რომ ვიღაც არ იყო მზად ან სათანადოდ არ ცდილობდა, მაინცდამაინც თავს არ იკლავდა, ეს კრიჟევსკისთვის ნამდვილი უბედურება იყო. და იმას, ვინც მთელი ძალით არ ითამაშებდა, ხელახლა მიწვევის იმედი აღარ უნდა ჰქონოდა, — კრიჟევსკი არ დაუშვებდა ამას.

— ცდას ნუ დავაკლებთ, — გვეუბნებოდა ის. — ჩვენ ხომ ოსტატები გვქვია. ვალდებული ვართ მაყურებელს ვუჩვენოთ ყველაფერი, რაც ვიცით. ჩვენთვის ცუდი თამაში სახელის გატეხვაა.

და ყოველ მატჩში, მათ რიცხვში ვეტერანთა შეხვედრაშიც, რომლის მოგებასაც არც ქულები მოჰქონდა ვინმესთვის, არც მედლები და დიდება, იგი ისე იბრძოდა, გეგონებოდათ საკავშირო თასის გათამაშების ფინალში გამოდისო.

ინგლისელებთან მატჩში, ჩვენთვის მსოფლიო ჩემპიონატის პირველ მატჩში, ასე თავგანწირვით და ბრწყინვალედ მარტო კრიჟევსკი როდი თამაშობდა. თავიდან ასე იბრძოდა მთელი გუნდი. ჩვენ ბევრჯერ მივიმწყვდიეთ ჩიხში ინგლისელთა დაცვა, თუმცა მას მეთაურობდა ბილ რაიტი — ფეხბურთელი, რომელიც პირადად მე ძალიან მაგონებს ჩვენს ავგუსტინ გომესს — ტანით, თამაშის მანერით, სიმშვიდით, მაღალი ტექნიკით, მდგომარეობის კარგად გაგების უნარით და პოზიციის არჩევის ცოდნით.

შესვენებაზე რომ წავედით, ჩარაგში გოლი გვქონდა. იგი სიმონიანმა გაიტანა. მეორე ტაიმის დასაწყისში კარგად ითამაშა ალექსანდრე ივანოვმა და ანგარიში გახდა 2:0. მიაქციეთ ყურადღება, რომ თავი გამოიჩინეს სწორედ იმ მოთამაშეებმა, რომლებმაც ძირითად შემადგენლობაში სტრელცოვი და ტატუშინი შეცვალეს. განსაკუთრებით ივანოვის წარმატება გვიხაროდა — ლენინგრადის „ზენიტის“ ფეხბურთელისა. ეს მისი დებიუტი იყო საერთაშორისო სარბიელზე. [illegible] რომელიც მანამდე საბჭოთა ფეხბურთის ვარსკვლავად [illegible] რებში, ასე ვთქვათ, ავრალის წესით იყო მიწვეული, ანსამბლიდან არ ერთდებოდა, თამაშობდა თავგანწირვით, ნაყოფიერად, ხოლო გოლი კი ოსტატურად, მეგარე მაკდონალდის მოტყუებით გაიტანა.

დიახ, მეორე ტაიმი ჩვენთვის თავიდან ისევე კარგად წარიმართა, როგორც პირველი. ჩვენ ვერ ვიგრძენით მომენტი, როცა თამაშის სადავეები დავთმეთ. შესაძლოა, ასეთი მომენტი, ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, არც ყოფილა. სადავეები როგორღაც შეუმჩნევლად და თანდათანობით გვისხლტებოდა ხელიდან. ჩვენ მაშინ გამოვიღვიძეთ, როცა ინგლისელთა სულ უფრო მზარდი დაწოლა ნელ-ნელა მძლავრ პრესინგში გადავიდა და ჩვენს კარს მიგვაჯაჭვა. ჩვენი თამაში სულ უფრო აირია, ავფუსფუსდით, შეცდომას შეცდომაზე ვუშვებდით. ფეხბურთელებს რაღაც უცნაური აგზნება დაეტყოთ. ბოლოს და ბოლოს კევანმა მაინც გაიტანა გოლი.

ვფიქრობ, სწორედ მაშინ, სხრ კავშირ — ინგლისის მატჩის მეორე ტაიმში, ჩვენმა ნაკრებმა თავისი პირველი ამერიკა აღმოაჩინა. ოღონდ, სამწუხაროდ, გაკვეთილმა, როგორც ცხოვრებამ გვიჩვენა, ვერაფერი გვარგო. გაკვეთილი იმაში მდგომარეობდა, რომ ავვიხსნა ერთი უმნიშვნელოვანესი გარემოება: ჩვენ არ ვიცით მოგებული მატჩების ბოლომდე თამაში. ეს ხელოვნება კი აუცილებელია გუნდისთვის, რომელსაც სურს სტაბილური წარმატებების იმედი ჰქონდეს. ხოლო მსოფლიო ფეხბურთის საუკეთესო პროფესიული გუნდები (და არა მარტო საუკეთესოები, არამედ, უბრალოდ, მაღალკვალიფიციურნიც) მას მთლიანად ფლობენ.

ეს ხელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ საჭირო წუთში შეგეძლოს მოეშვა, დააგდო ტემპი, თამაში მინდვრის შუაგულში გადაიტანო და ბურთი უფრო დიდხანს ატარო. გარკვეულ სიტუაციებში ეს აუცილებელი ამოსუნთქვაა, როცა შეიძლება გაიხედ-გამოიხედო, გონს მოხვიდე, მოემზადო ახალი შტურმისთვის. პროფესიონალებთან ასეთი დაწყნარება ქარიშხლის მომასწავებელია. მათ შეუძლიათ თავიანთი ნებასურვილით ცვალონ თამაშის რიტმი, ჩვენ კი ან ზღვარზე ვთამაშობთ, ანდა იძულებული ვართ ღრმა დაცვაში ვიყოთ. არითმიული ფეხბურთის ხელოვნებას ჩვენ ვერ ვფლობთ.

მე ახლა დიდი ხნის გარდასულ ამბებს ვყვები, მაგრამ უნებლიეთ აწმყო დროს ვხმარობ: „მათ იციან“, „ჩვენ ვერ ვფლობთ“. ეს სტილისტური შეცდომა არ არის. ჩვენ დღესაც არ ვიცით თამაშის რიტმის შეცვლა, არ ვიცით მატჩების ბოლომდე თამაში, და ჩვენ, როგორც მრავალი წლის წინათ, ახლაც გვჯიან ამისთვის საერთაშორისო სარბიელზე.

ეტყობა, „არითმიის მეცნიერება“ უმაღლესი საფეხბურთო განათლების კურსში შედის, რომელსაც წინ უნდა უძღოდეს სასკოლო საგნების მტკიცედ დაუფლება, უპირველეს ყოვლისა — ტექნიკისა.

აი, ვცადეთ ტემპის დაგდება ინგლისელებთან თამაშში. და მაშინვე ჩვენი ტექნიკური შეცდომები შეუიარაღებელი თვალით გამოჩნდა. საკმარისია შეცდომა ბურთის გაჩერებისას — და ის დაკარგულია. ბურთი მოწინააღმდეგეს უვარდება ხელთ, შეცდომაში დამნაშავე კი ახლა უკვე ისე აღარ ისწრაფვის საქმის გამოსწორებისკენ, როგორც პირველ ტაიმში. ცუდი გადაცემა — ბურთი ისევ ინგლისელებს აქვთ, და ჩვენ მისთვის ისე აქტიურად აღარ ვიბრძვით. თამაში ჩვენი კარისკენ ინაცვლებს. მცველები შემოტევას გრძნობენ და ცდილობენ რაც შეიძლება მალე დაარტყან ბურთი შორს ჩვენი საჯარიმო მოედნიდან. მაგრამ სწრაფად და ამავე დროს ზუსტად მოქმედება მათ არ იციან. მათი დარტყმების შემდეგ ხშირად ბურთი კაცმა არ იცის საით მიფრინავს და მეტოქეს უვარდება ხელში. ჩვენი დაცვა ცდილობს, რომ ბურთის უთავბოლო მოგერიებას კი არ გადაჰყვეს, არამედ გამიზნულად გადასცეს იგი თავდამსხმელებს, მაგრამ სიჩქარეში გადაცემა მაინც ფუჭდება. ბურთის დაუმუშავებლად მიღება ძნელია, ხოლო ჩვენ, თავდამსხმელებმა, მისი საჭირო სიჩქარითა და სიზუსტით დამუშავება არ ვიცით. ინგლისელი მცველები ყოველ წუთს მზად არიან, ბრძოლაში ებმებიან და კონტრშეტევა ჩახახვასაც ვერ ასწრებს, ისე იშლება.

გამოდის, რომ ჩვენ შეგვიძლია ტექნიკის ნაკლებობა ავინაზღაუროთ მხოლოდ ენერგიის გაძლიერებით, ერთი ნაკლული შესაკრების მეორით გადიდებით. ამიტომ დაღლილობა ჩვენთვის ბევრად უფრო საშიში მტერია, ვიდრე იმათთვის, ვისთანაც გვსურს მსოფლიო საფეხბურთო გვირგვინისთვის თანაბრად ვიბრძოლოთ.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო“ №№ 42, 45, 46, 47, 56, 57, 60, 61, 64, 66, 70, 71, 75, 82, 83, 90, 92, 95, 97.

ფეხბურთი

# პრიზი „ბაიერნს“

## ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ფინალი

როგორც წინა ნომერში ვიუწყებოდით, 15 მაისს ბრიუსელის „ჰეისელის“ მინდორზე გამართული ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალური მატჩი მიუნჰენის „ბაიერნსა“ (გფრ) და მადრიდის „ატლეტიკოს“ (ესპანეთი) შორის, დამატებითი დროის მიუხედავად, ფრედ (1:1) დამთავრდა.

გუშინწინ ეს გუნდები კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს.

„ბაიერნი“: მაიერი, ჰანსენი, შვარცენბეკი, ბეკენბაუერი, ბრაიტნერი, როტი, ზობელი, ჰიონესი, კაპელმანი, მიულერი, ტორსტენსონი.

„ატლეტიკო“: რეინა, მელო, ერედია, ეუსებიო, კაპონი, ადელარდო (ბენეგასი), ლუისი, ალბერტო (უფარტე), სალსედო, გარატე, ბესერა.

შეხვედრა ორივე გუნდმა მწვავე იერიშებით დაიწყო, მაგრამ გერმანელთა შეტევები უფრო სახიფათო იყო. ჩანდა, რომ ფიზიკურად უკეთესად მომზადებული „ბაიერნი“ ამჯერად „ატლეტიკოს“ დაჯაბნიდა. უპირატესობას შედეგიც მოჰყვა: 28-ე წუთზე ჰიონესმა პირველი გოლი გაიტანა რეინას კარში.

შესვენებამდე მადრიდელებმა რამდენიმე სახიფათო კონტრშეტევა განახორციელეს, მაგრამ ამაოდ.

მეორე ტაიმი გერმანელებმა სწრაფი შეტევებით დაიწყეს, მაგრამ არც ესპანელები იყვნენ გულხელდაკრეფილი: ლუისსა და გარატეს კარის აღების ორი ძალიან კარგი შანსი მიეცათ. ეს შესაძლებლობანი მათ ვერ გამოიყენეს...

57-ე წუთზე მიულერმა მეორედ აიღო მადრიდელთა კარი.

59-ე წუთზე ვეტერანი ადელარდო შეცვალა ბენეგასმა, რომლის კარგი გადაცემის შემდეგ გარატე პირისპირ გავიდა მაიერთან. „ბაიერნის“ მეკარემ მეტად სადავო სიტუაციაში (ესპანელი კომენტატორების აზრით, აშკარა პენალტი იყო!) მოახერხა ხიფათის თავიდან აცილება.

62-ე წუთზე მაიერმა უძნელესი ბურთი მოიგერია.

ესპანელთა მწვრთნელმა, არგენტინელმა ხუან კარლოს ლორენცომ ნახევარმცველ ალბერტოს ნაცვლად მინდორზე გამოიყვანა ვეტერანი თავდამსხმელი უფარტე.

67-ე წუთზე ერედიას მიერ ძლიერად დარტყმული ბურთი ბრწყინვალედ მოიგერია მაიერმა, 79-ე წუთზე კი მიულერმა ესპანელთა კარში მესამე გოლი გაიტანა.

ცხადია, მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. „ატლეტიკოს“ მოთამაშეებმა ამ დროისთვის ისედაც ნელ ტემპს კიდევ უფრო უკლეს და მატჩის სადავეები მთლიანად დაუთმეს გერმანელებს. 82-ე წუთზე ჰიონესმა გვერდი აუარა „ატლეტიკოს“ ორ მცველს და ლამაზი გოლი გაიტანა — 4:0.

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი პირველად მოიპოვა მიუნჰენის „ბაიერნმა“, რომლის ათასობით გულშემატკივარმაც „ჰეისელის“ მინდორზე დიდი ზეიმი გამართა.

საკუთარი ინფორმაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა





## სამი მღელვარე დღე და ღამე

საქართველოს რესპუბლიკური ავტორალის მონაწილეებს სამი დღე-ღამის განმავლობაში მოსვენება არ ჰქონდათ. ჩემპიონის სახელისთვის მებრძოლ დოსააფის სპორტსმენებს 1252-კილომეტრიანი დისტანცია სამი სხვადასხვა მარშრუტით უნდა გაევლოთ, ისე, რომ ყოველი მარშრუტის გავლისას განსაზღვრული რაოდენობის საკონტროლო პუნქტებში გამოცხადებულიყვნენ და სპეციალურ ადგილებში დამატებითი ვარჯიშები შეესრულებინათ.

შოფრები მსუბუქი ავტომანქანებით თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონიდან გარიჟრაჟზე დაიძრნენ, წალკის მიმართულებით 370 კილომეტრი გაიარეს და საღამოს უკან დაბრუნდნენ. მაგრამ დასვენებისთვის ვის ეცალა! რალის მონაწილენი ღამით მანქანებს უკირკიტებდნენ, რათა მეორე დღეს ისევ აეღოთ სტარტი. ამჯერად მათი მარშრუტი ასეთი იყო: ზესტაფონი — მაიაკოვსკი — ჭიათურა — საჩხერე — ქუთაისი (აქ ფიგურულ სვლაში შეჯიბრებაც გამართეს) და უკან. დისტანცია 542 კილომეტრს უდრიდა.

ორი ეტაპის მიხედვით გუნდური შედეგები ჯამდებოდა და ვლინდებოდა 10-10 საუკეთესო ეკიპაჟი, რომლებსაც მესამე ეტაპზე პირადი პირველობისთვის ბრძოლის გაგრძელების უფლება ეძლეოდათ.

მესამე ეტაპი კახეთის გზებზე გადიოდა — თბილისიდან ახმეტამდე და უკან.

გუნდური ტურნირი მოიგო თბილისის მსუბუქი ტაქსების № 3 საწარმოს პირველმა გუნდმა. გუნდში შედიოდა ორი ეკიპაჟი, რომელთა შემადგენლობებში იყვნენ სსრ კავშირის ნაკრების წევრები — სპორტის ოსტატები გ. თვაური და ე. გრიგორიანი (510 საჯარიმო ქულა), აგრეთვე, სპორტის ოსტატობის კანდიდატები ვ. სავიცკი და ტ. მოლინბოიში (554). II ადგილი დაიკავა თბილისის დოსააფის ნაკრებმა (1772 ქულა), ხოლო III — თბილისის მსუბუქი ტაქსების № 2 საწარმოს კოლექტივმა (1970).

პირად პირველობაში ბადალი არ ჰყავდა გ. თვაურისა და ე. გრიგორიანის ეკიპაჟს. II ადგილი წილად ხვდათ გ. გოგინაშვილსა და ვ. ჯაბანაშვილს (თბილისის მსუბუქი ტაქსების № 2 საწარმო), III — ვ. სავიცკისა და ტ. მოლინბოიმს.

ეს შეჯიბრება სპორტის ტექნიკურ სახეობებში საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადების ერთ-ერთი ეტაპი იყო.

ო. კიკნაველიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

• • •

სურათებზე: საქართველოს ჩემპიონები (მარცხნიდან) ე. გრიგორიანი და გ. თვაური შეჯიბრების მონაწილეებთან ვ. კობზარიუკთან, ვ. ანდრიუშკევიჩთან და ბ. სარქისოვთან ერთად მორიგი ეტაპის სქემას ეცნობიან; თბილისელები რ. ცირეკიძე და ზ. ხუბულური მანქანას სტარტისთვის ამზადებენ.

შეჯიბრების უფროსი მსაჯის ხ. ვართანიანცის ფოტოები.

## მეორე, დამატებითს სერიაში

თბილისის არმიელთა სპორტული კლუბის სასროლეთზე ორ დღეს გრძელდებოდა ქალაქის მესტენდურეთა პირად-გუნდური შეჯიბრება, რომელშიც „ლოკომოტივის", ასკ-ს, მონკავშირისა და „განთიადის" წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ყველაზე მრავალრიცხოვანი იყო მონკავშირის კოლექტივი, რომელმაც საასპარეზოდ 11 მსროლელი გამოიყვანა. ამ უწყების გუნდმა გაიმარჯვა მრგვალ სტენდზე შეჯიბრებაში (364 ქულა), ადგილიდან სროლაში III ადგილზე გავიდა, ხოლო საერთო კომპლექსურ ჩათვლაში II ადგილი (635 ქულა) მოიპოვა.

ეს შედეგები ნათლად მეტყველებენ, რომ საქართველოს მონადირეთა და მეთევზეთა კავშირის პრეზიდიუმმა (თავმჯდომარე მ. ციხისთავი) კვლავ სერიოზულად მოჰკიდა ხელი სასტენდო სროლის აღორძინებას. საქალაქო პირველობაში მონკავშირელთა წარმატება გვაფიქრებინებს, რომ მალე ისინი მოწინავე ტრადიციებს დაიბრუნებენ.

ადგილიდან სროლა მოიგო არმიელ მონადირეთა ნაკრებმა — 347 ქულა. არმიელებმა, რომლებმაც მრგვალ სტენდზე სროლაში II ადგილი მოიპოვეს, იმარჯვეს კომპლექსურ ჩათვლაშიც — 683.

ორივე ვარჯიშში და კომპლექსურ პირველობაში III ადგილები წილად ხვდა „ლოკომოტივს" — 621 ქულა. რკინიგზელებმა ჩემპიონობა ხელიდან იმიტომ გაუშვეს, რომ გუნდი თანაბარძალოვანი სპორტსმენებით ვერ დააკომპლექტეს. პირად ტურნირში კი როგორც ადგილიდან, ისე მრგვალ სტენდზე სროლაში I და II ადგილები მათ არავის დაუთმეს.

„განთიადმა" პირველობაში მხოლოდ ორი მესტენდურე გამოიყვანა. ცხადია, ამ საზოგადოებას გუნდურ საპრიზო ადგილზე პრეტენზია არც ექნებოდა. პირად შეჯიბრებაში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი თ. მატოიანი ავადმყოფობის გამო პირველ დღეს შედარებით წარუმატებლად გამოვიდა — 100-დან 93 ქულა მოაგროვა. იგი ჩამორჩა ლიდერებს — რკინიგზელებს, სპორტის დამსახურებულ ოსტატ ტ. ჟღენტსა (99 ქულა) და სპორტის ოსტატ თამაზ იმნაიშვილს (97). ჟღენტმა მხოლოდ მეორე სერიაში ააცდინა ერთ სამიზნეს, იმნაიშვილს კი სამივე სამიზნე მესამე სერიაში გადაურჩა.

მეორე დღეს შედეგები გაცილებით უკეთესი გამოდგა. იმნაიშვილმა ამჯერად 98 ქულა მოაგროვა, ჟღენტმა და მატოიანმა — 99-99. ქალაქის ჩემპიონი გახდა ჟღენტი — 198 ქულა. II ადგილი ერგო იმნაიშვილს — 195, III — მატოიანს — 192.

ადგილიდან სროლაში იმარჯვეს ვეტერანებმა — საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ზ. მაჩხანელმა და სპორტის ოსტატმა ვ. ალავერდოვმა (ორივე — „ლოკომოტივი"). თავდაპირველად მაჩხანელს (93) არმიელმა ი. კონდრატიევმაც (96) აჯობა და ალავერდოვმაც (94), მაგრამ მეორე დღეს კონდრატიევი 90 ქულას დასჯერდა, ალავერდოვმა წინა დღის შედეგი გაიმეორა, მაჩხანელმა კი 95 ქულა მოაგროვა.

საბოლოოდ მაჩხანელსა და ალავერდოვს 200-დან 188-188 ქულა აღმოაჩნდათ. მათ შორის უძლიერესის გამოსავლენად დაინიშნა დამატებითი სერია. ამჯერადაც ორივემ მხოლოდ თითო სამიზნეს ააცდინა. მეორე, დამატებითმა სერიამ გამარჯვება მაჩხანელს მოაპოვებინა. კონდრატიევი III ადგილზე გავიდა. როგორც ვხედავთ, პრიზიორთა მაჩვენებლები ურიგო როდი იყო.

ქალები რატომღაც გუნდურ პირველობაში არ მონაწილეობდნენ (ტურნირის ასე ჩატარება ქალთა შორის სასტენდო სროლის განვითარებას ძალიან აფერხებს), მაგრამ მსურველები პირად პირველობაში მაინც გამოვიდნენ და გამარჯვებისთვის ვაჟებს ებრძოდნენ. სპორტის ოსტატმა ე. მელიქიშვილმა მრგვალ სტენდზე 176 ქულა მოაგროვა და საერთო V ადგილზე გავიდა.

ა. ბერიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
რ. მაღრაძე.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტული ბიუროს

ფეხბურთი. „ლოკომოტივის" ბაზა დიღომში. 19 მაისი. საქართველოს პირველობა. „ლოკომოტივი" (თბილისი) — ასკ (თბილისი). დასაწყისი 17 ს. 30 წთ.

„ლოკომოტივის" სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

ფეხბურთი

21 მაისს
საქალაქთაშორისო ამხანაგური შეხვედრა
ვეტერანთა ნაკრები (თბილისი) —
ვეტერანთა ნაკრები (ერევანი)
დასაწყისი 18 ს. 30 წთ.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

„დინამო" (თბილისი) —
„არარატი" (ერევანი)

22 მაისს
სათადარიგო შემადგენლობანი
დასაწყისი 18 ს. 30 წთ.

23 მაისს
ძირითადი შემადგენლობანი
დასაწყისი 19 ს.

ბილეთები წინასწარ გაიყიდება ორგანიზაციებში 21 და 22 მაისს; აბონემენტებზე — ამავე დღეებში 12-დან 19 საათამდე სტადიონის სალაროებში. საერთო გაყიდვა — 23 მაისს 10 საათიდან.

### რეკორდები

მინსკი, 18 მაისი. აქ მიმდინარე საერთაშორისო შეჯიბრებაში ბელორუსიის არმიელმა ა. გაზოვმა დღეს საკავშირო რეკორდი დაამყარა „გაქცეულ ტახზე" სროლაში — 580 ქულა (196 + 192 + 97 + 95).

◆ ნიუ იორკი, 19 მაისი. სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრებმა წარმატებით დაიწყო ტურნე ამერიკის შეერთებულ შტატებში — აქ მან ანგარიშით 65:59 (31:26) სძლია მასპინძელი ქვეყნის ნაკრებს. თამაში ჩატარდა ცნობილი „მედისონ სკვერ გარდენის" ერთ-ერთ დარბაზში — „ფელტ-ფორუმში", რომელიც 6 ათას მაყურებელს იტევს. მეტოქეთა სასტარტო ხუთეულები: აშშ — სიმპსონგარდი, ბრაუნი, მაიერსი, რეპი, მიულერი; სსრ კავშირი — ზახაროვა, კუზნეცოვა, ოვეჩკინა, კურვიაკოვა, სუხარნოვა. ყველაზე შედეგიანი მოთამაშეები იყვნენ: მასპინძელთა შორის — მაიერსი (16 ქულა), სტუმრებში — სემიონოვა (17) და ზახაროვა (12). სსრ კავშირის ნაკრებს წინ აქვს ამხანაგური მატჩები დე-მოინში, ალბუკერკში, გელაპში, პლეინვალში, სან-ანტონიოში, გრინძბოროში.

### ერთი ავტორალი დამთავრდა, მეორე დაიწყო
### ამერიკის შეერთებული შტატების რეკორდი
### ავსტრალიელი მოცურავის მიღწევა

**საავტომობილო სპორტი**

დამთავრდა აღმოსავლეთ აფრიკის 22-ე ავტორალი „საფარი". გაიმარჯვა ჟოგინდერ — დოიგის (კენია) ეკიპაჟმა, რომელიც „ლანსერით" ასპარეზობდა — 678 საჯარიმო ქულა. II ადგილზეა ვალეგარდ — ტორსელიუსის (შვეცია) დუეტი „პორშეთი" — 706, III — მუნარი (იტალია) — დრაის (კენია) წყვილი „ლანჩია-ფულვიათი" — 742.

ლონდონში, „უემბლის" სტადიონზე სტარტი მიეცა საავტომობილო რალიში მსოფლიო თასის მეორე გათამაშებას. ასპარეზობაში 68 ეკიპაჟი მონაწილეობს. ფინიში 25 მაისს მიუნხენში შედგება. სპორტსმენებმა უნდა გაიარონ 17000 კილომეტრი (60 საკონტროლო საგუშაგოთი).

**მძლეოსნობა**

ნიუ იორკი. ს. პრეფონტეინმა აქ გამართულ შეჯიბრებაში 10000 მ 27 წუთსა და 43,6 წამში გაირბინა. ეს აშშ-ს რეკორდია და მეექვსე შედეგი — ამ სახეობის ისტორიაში. მ. ფლორი ფოსბიურის სტილით 221 სმ სიმაღლეზე გადახტა.

**ცურვა**

მელბურნი. ს. ჰოლენდმა 25-მეტრიან აუზში 800 მეტრზე ცურვაში 8.14,4 აჩვენა. ეს ავსტრალიის ვაჟთა რეკორდია.

მსოფლიო ჩემპიონატი ჩოგბურთში

## ბიორნ ბორგმა სძლია არტურ ეშს

დალასში (აშშ, ტეხასის შტატი) გაიმართა პროფესიონალ ჩოგბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის მეოთხედფინალური შეხვედრები.

ყველაზე დიდი ინტერესით მაყურებლები ამერიკელი სტენ სმითისა და ავსტრალიელი როდ ლეივერის შეხვედრას ელოდნენ. გაიმარჯვა მასპინძელმა.

ლეივერის თანამემამულემ ჯონ ნიუკომბმა სძლია ტომ ოკერს (ჰოლანდია).

უიმბლდონის ჩემპიონმა იან კოდეშმა (ჩეხოსლოვაკია) რუმინელ ილიე ნასტასეს მოუგო.

მაგრამ შეხვედრების მთავარი სენსაცია 17 წლის მზარდი შვედი ჩოგბურთელის ბიორნ ბორგის გამარჯვება იყო. მან გამოცდილ არტურ ეშს (აშშ) სძლია.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02580